

საქართველო

საერთო უკრაინული გაზეთი №176 (2499) 4 აპრილი 2005

ფასი 50 თეთრი

საქართველო ჩემპიონია

ჭაბუკებს ევროპას ზემოდან გადმოხედეს

საქართველოს 16-წლამდე ბეისბოლისტთა ნაკრები გუშინ ევროპის ჩემპიონი გახდა. პოლონეთის პატარა ქალაქ მისკა გორკაში ნუგზარ კაპანაძის გუნდი ოქროს მედლებამდე ისე მივიდა, ვერც ერთმა ევროპულმა ნაკრებმა რიგიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ფინალში ქართველმა ბეისბოლისტებმა გერმანიას 14:4 მოუგეს, მანამდე კი მათ ჯგუფურ ეტაპზეც სძლიეს — 20:7.

გერმანიის გარდა ჩვენმა ბიჭებმა იტალია, პოლონეთი, ავსტრია და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ჰოლანდიაც დაამარცხეს.

„უბედნიერესი ადამიანი ვარ. დღეს ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ქართველ კაცს ყველაფრის მიღწევა შეუძლია — გვითხრა გუშინ სადამოს საქართველოს ბეისბოლისა და სოფთბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ — უნიჭიერესი თაობა მოდის და მათ გვერდში უნდა დავედგეთ. არადა, რომ არა ქალაქის სპორტის სამსახური და ბანკი „რესპუბლიკა“, იყო საშიშროება, ევროპის ჩემპიონატზე წასვლა საერთოდ ვერ მოხერხებულყო, თორნიკე ნიკოლაიშვილი, ოთარ მინესაშვილი, ლუკა გახოკიძე, ლევან თელია, ლევან ლეთოდიანი, თარამ თავაძე, დავით მუხაძე, შოთა გვალია, ლევან

გობეჯიშვილი, ნიკოლოზ რაზმაძე, ზურაბ ჩიტაშვილი, დავით ამბოკაძე და გიგა მეტრეველი — აი, შემადგენლობა, რომელმაც პოლონეთში გმირობა ჩაიდინა. ამ ბიჭებმა უდიდესი საჩუქარი გვიძღვნეს. მათ დაამტკიცეს, რომ სპორტის ამ სახეობაშიც შეიძლება გულშემატკივრის გახარება. არანაკლები წარმატების მიღწევა შეუძლიათ სოფთბოლისტ გოგონებსაც. იმედია, სამომავლოდ ისინიც გაგვახარებენ.

ევროპის ჩემპიონობასთან ერთად ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. იგი ამერიკაში, ქალაქ ბანგორში 13-20 აგვისტოს გაიმართება და საქართველო ევრო-აფრიკის ღირსების დამცველი ერთადერთი გუნდი იქნება. წარმოიდგინეთ, რამხელა პატივია. ბიჭები ამ ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად პოლონეთში დარჩებიან. უმაღლესი დონის ერთკვირიან შეკრებას გაივლიან და ამერიკაში 10 აგვისტოს გაემგზავრებიან.“


ოთარ მალაქაძე

ქართველებს ევროპის კარში სხვირი მოჭყვავით 1:3 ღინამო კოპენჰაგენიდანაც კოპებით ჩამოვიდა



მორტენ სკოუბომ დავით გიგაურს და ლაშა ნოზაძეს გაუარა

ქართველებმა ოქრო-ვერსხლი დააწყვილეს



ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებმა ოთხი მედლით დაასრულა. პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გამართული ორდღიანი ტურნირის პირველი დღე გუშინდელ „სარბიელში“ მიმოვიხილეთ და 60 კილოგრამ წონაში მოჭიდავე მალხაზ ზარქუას ვერცხლის ამბავიც გამცნეთ. ამჯერად კი მალხაზ ქურდიანის (55 კგ), ნიკოლოზ გაგნიძისა (84 კგ) და გიორგი ნიკურაძის (120 კგ) მედლებზე გეტყვით.

გუშინ, ტურნირის მეორე დღეს, ხალიჩაზე გასული ოთხი ჩვენებურიდან კვარცხლბეკს მიღმა მხოლოდ ცოტნე ბარამიძე (66 კგ) დარჩა. ქურდიანმა, გაგნიძემ და ნიკურაძემ კი ფინალში იჭიდავეს. გადამწყვეტ ბრძოლებამდე სამივემ სამ-სამი მეტოქე ჩამოიცილა და ამ ცხრა შეჭიდეებაში ქართველთა მეტოქეების ანგარიშზე მხოლოდ ერთი პერიოდი ნიკურაძისა და გერმანელი პეტერ ჰიმბერტის მეოთხედფინალური დაპირისპირებიდან.

საბოლოოდ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქურდიანი და ნიკურაძე ავიდნენ, ხოლო გაგნიძემ ფინალი წააგო და ვერცხლს დასჯერდა.

6-7 აგვისტოს ვროცლავშივე ევრომედლებისთვის ბერძენ-რომაელები გავლენ.

დინამო რტიზასია წადი, იმარჯიშე და მერე მოდი



კობა ინასარიძე
კოპენჰაგენიდან

მოულოდნელად, ლორენცენი გაჩნდა და ზვიად სტურუას მოძრაობის საპირისპიროდ დაურტყა — 1:0.

როგორც ხდება ხოლმე, „დინამომ“ გოლი მიიღო და... „ბრონდბიუმ“ ორ წუთში ნაღდი საგოლე მომენტი გააცულა — იორგენსენის ჩაწოდებულის დაბოლოებას ამჯერად აგერი ცდილობდა, მაგრამ ბურთს ვეღარ შესწვდა... თბილისელებს მოსაფერიათებლად 10-12 წუთი დასჭირდათ. ბურთის „დინამო“ ფლობს და ლაშა ნოზაძემ მეკარე ანკერგერნიც შეაწუხა. ეს მასპინძელთა კარში პირველი დარტყმა იყო, რომელსაც იქვე კუთხური და ძალიან კარგი მომენტი მოჰყვა — შოთა ბაბუნაშვილის ჩაწოდებული მეკარესაც და მცველებსაც გადაევიდა, მაგრამ სერგო ორბელიანის ეს საჩუქარი მოულოდნელი გამოდგა და ორივე მეტრიდან კარს ააცილა. აქვე ლევან მელქაძის თითქმის ასპროცენტული შანსიც — პენალტის ნიშნულთან ის ყველასგან უმეთვალყურეოდ დარჩა, თითქოს უპრობლემოდ უნდა გაეტანა კიდეც, მაგრამ ფეხი დაუცდა და ხეირიანად ვეღარ დაარტყა.

ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კახა ალადაშვილი ვერ გაერკვა საკუთარ საჯარიმოში შექმნილ ვითარებაში და... „დინამომ“ მეორე გოლი მიიღო — ლორენცენმა თბილისელების შეცდომით ისარგებლა და დუბლიც მიითვალა — 2:0.

„დინამო“ მატჩის დაწყებამდე ხომ უშანსოდ იყო და ახლა მით უმეტეს თბილისელები დიდი ანგარიშით წაგებასთან ახლოს არიან და ყველაზე ცუდი ისაა, რომ დღევანდელ მატჩში არანაირი პერსპექტივა არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

შესვენებაზე ცხადად ორი შეცვლა გააკეთა — გია მეგრელაძე სანდრო იაშვილით შეცვალა, ხოლო დავით გიგაური რევაზ ქემოკლიძით.

„ბრონდბიუ“ მაინცდამაინც აგრესიულ ფეხბურთს არ თამაშობს, თუმც ტაქტიკურად ძალიან გამა-

რთული, ორგანიზებული გუნდია და „დინამოზე“ ორი თავით ძალად დგას.

მეორე ტაიმში თბილისელებმა პირველი ხიფათი მე-60 წუთზე შექმნეს — დავით ოდიკაძემ შორიდან დააჭეკა და ისე ჩანდა, მეკარე უძლური იქნებოდა, მაგრამ ბურთი ნილსენს მუხლზე მოხვდა და კუთხური გამოვიდა. იქიდან ჩაწოდებულს კი მელქაძემ თავური შეაგება — უზუსტოდ.

...და გოლი: სანდრო იაშვილმა მასზე გაცილებით ძალიან აგერს თავით თამაშში აჯობა და ბურთი შორეულ ცხრიანში ჩასვა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილ შოთა ბაბუნაშვილს ანკერგერნმა ბურთი ფეხით აუღო. აუტიდან მელქაძემ სწრაფად დაუგდო ბურთი ბაბუნაშვილს, ვინც იაშვილისკენ ჩააწოდა კიდეც. დანარჩენი კი სანდრომ უზადოდ შეასრულა — 2:1.

გოლის შემდეგ „დინამო“ შეგულისხმდა და მეტოქეს უფრო თამაზად და სახიფათოდ შეუტია. პრობლემა კი ისევე ბოლო პასია, რასაც თბილისელები ზუსტად ვერ აკეთებენ. ისიცაა, რომ დანიელები დაშვებულნი და ნამეტანი თავგამოდებით აღარ თამაშობენ. მასპინძლები ბურთს აგორებენ, ქომაგები პასების რაოდენობას ხმაშეწყობილად ითვლიან.

...აი, „ბრონდბიუმ“ ტემპს ოდნავ აუჩქარა და „დინამოს“ მესამე გოლიც მიართვა. აბსალონსენი მარცხნიდან გაქანდა, ჩააწოდა და კამპერმა ლორენცენის პირველი გოლის მსგავსი გაიტანა, ბურთს შორეულ ძელთან დახვდა — 3:1.

ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ „ბრონდბიუსთან“ თბილისის „დინამოს“ წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონდა და თბილისური 0:2-ის შემდეგ გამოყოლილი მცირე იმედი იმედოდ დარჩა. არც არანაირი სასწაული მომხდარა — მომგებმა მოიგო.

მიქელ ლაუდრუბი: თამაში კარგად დაიწყო, მე-10 წუთზე გოლი გავიტანეთ და ეს გადამწყვე-

პრონდბიუ 3:1 დინამო (2:0)
10, 2:0 ლორენცენი (10; 42), 21 იაშვილი (66), 31 კამპერი (86)

პრონდბიუ: ანკერგერი, ნილსენი, იოჰანსენი (შეიღებ 69), ლანტი, ლორენცენი, დაუგარდი, სენელსი (აბსალონსენი 66), აგერი, იორგენსენი, ელმანდერი (კამპერი 56), სკოლტი, სათადარიგო: ზახა რეტოვი, პანსენი, კილდენტოფტი.
მწვრთნელი: მიქელ ლაუდრუბი
დინამო: სტურუა, კანდელაკი (აკობია 68), ორბელიანი, გიგაური (ქემოკლიძე 46), ალადაშვილი, ბაბუნაშვილი, ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე, ოდიკაძე, მეგრელაძე (იაშვილი 46), მელქაძე, სათადარიგო: ზოიძე, გრიგალაშვილი, ნავალოვსკი, დვალისხელი.
მწვრთნელი: კახა ცხადაძე
მასპინძელი: იაშვილი (66), კამპერი (86)
მსაჯეები: მ. ვაინერი, ჰ. სატერი, ტ. ველცი, პ. გაგელმანი (ყველა გერმანია)
ინსპექტორი: ე. კოლტორი (პოლონეთი) დელეგატი: ვ. ტაირისტერი (ავსტრია)

ტი გამოდგა. „დინამო“ პერსპექტიული გუნდია და ასე თუ გააგრძელა, მალე წარმატებებსაც მიიღწევს. სტუმრებმა რამდენიმე მომენტი გააფუჭეს და ამან მათზე ცუდად იმოქმედა. სტუმართაგან რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა, მაგრამ მათი დასახელება ჩემგან უტაქტობა იქნება.
...„აიაქსზე“ ბევრს ვერაფერს გეტყვით. ცუდი ისაა, რომ ამ გუნდის წინააღმდეგ მე ვერ ვითამაშებ. მართალია, „აიაქსი“ ამკარა ფავო-

რიტია, მაგრამ ჩვენ სახელების არ გვეშინია. ვეიქრობ, „აიაქსი“ და „მალკე“ თანაბარი ძალის გუნდები არიან, გერმანელებს კი ორი წლის წინ 2:0 მოვუგეთ.
კახა ცხადაძე: კოპენჰაგენში აშკარად გამოჩნდა „ბრონდბიუს“ ძალა. „დინამომ“ მაქსიმუმ გააკეთა, თუმცა ვერაფერს გავხდით. ვეიქრობ, ყველაფერი საქართველოს ჩემპიონატის დაბალი დონის ბრალია. აქედან გამომდინარე, ასეთი ცუდი შედეგები გასაკვირი არ უნდა იყოს.



დავით ოდიკაძის „დინამო“ იოჰან ელმანდერის „ბრონდბიუს“ დაეჩაგრინა

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006 II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

- ნავთიზი (აზერბაიჯანი) 1:0 ანდერლხტი (ბელგია) (0:5)
- ჰაბა (ფინეთი) 1:4 ვოლფრენზა (ნორვეგია) (0:1)
- ლოკომოტივი (რუსეთი) 2:0 რაბოტნიჩი (მაკედონია) (1:1)
- მაჰაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:2 მალშიუ (შვედეთი) (2:3)
- ტრაპუნსვორი (თურქეთი) 1:0 ანართოსისი (კვიპროსი) (1:3)
- შარიფი (მოლდოვა) 0:1 პარტიზანი (სერბეთი) (0:1)
- სტიუარტ (რუმინეთი) 4:1 შალპურნი (ირლანდია) (0:0)
- ცსკა (ბულგარეთი) 2:0 ტირანა (ალბანეთი) (2:0)
- ჰაიდუპი (ხორვატია) 0:5 დებრეცენი (უნგრეთი) (0:1)
- რაპიდი (ავსტრია) 3:2 დუბაილანში (ლუქსემბურგი) (6:1)
- თუნი (შვეიცარია) 1:0 დინამო (უკრაინა) (2:2)

ინტერტოტოს თასი 2005 IV ეტაპი. საპასუხო მატჩები

- კლუში (რუმინეთი) 5:1 შალპირისი (ლიტვა) (2:1)
- ლანსი (საფრანგეთი) 4:0 ვოლფსბურგი (გერმანია) (0:0)
- რომა (პოლანდია) 0:0 ვალენსი (ესპანეთი) (1:3)
- ჰამბურგი (გერმანია) 3:0 სიგმა (ჩეხეთი) (1:0)
- ნიუპასლი (ინგლისი) 1:2 დეპორტივი (ესპანეთი) (1:2)
- მარსელი (საფრანგეთი) 3:0 ლაციო (იტალია) (0:0)

ნორვეგია

ტიმეალია
XVI ტური
ალესუნდი 1:1 ჰაბ კაბი
გოდიო გლიზი 5:0 რანგლანდი
ფრედრიკსტადი 5:1 რუსანგორგი
ლილესტრომი 2:0 ვიკინგი
ტრომსო 1:1 გრანი
ვოლერენა — მიულდა გადაილო
სტარტი 1:1 ლინი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩები
მარიუპაი 4:2 ტა-47
კუოპიო 2:1 კტა
როვანიემი 0:0 ინტარი

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
მეორე ტური
ლორიანი 2:1 ლავალი

გერმანია

ჩრდილოეთი რეგიონალური
მეორე ტური
პარლ ცაისი 1:1 ლევიკაუზანი (2)
ოსნაბრიუმი 1:1 ოზარკაუზანი
კიოლნი (2) 0:3 კიკარს ეშდანი
ძაენიცი 1:3 პარტა (2)
ზანატ პაული 1:0 ერფურტი

აშხანაგური მატჩები

იაპონია 2:2 ჩინეთი
მილსარო 1:2 ატლანტიკო
ევირტონი 1:0 უდინეზა
საორტინი 2:1 სამალორია

უგანდა

თასის მეოთხედფინალი
ატირსა 2:2 (გ. 10) მორიუნი

ისლანდია

თასის მეოთხედფინალი
ფრამი — ჰაფნარფიორდური
გვიან დაბთავრდა

დანია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ჰელსინგი 1:1 ვაილე

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ცსკა 1:1 მოსკვა

კახა კალაძე: ქართული მწვრთნელი ვერაფერს გვასწავლის

ეს დღეებია, იტალიური მედია კარლო ანჩელოტისა და მის „მილანს“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ყველას აინტერესებს, ახალ სეზონში როგორი ტაქტიკური სქემით ითამაშებს „როსონერი“. ამბობენ, ანჩელოტის თავისი საყვარელი 4-4-2 უკვე აღარ მოსწონს და გუნდის გადანაწილებას 3-5-2-ზე აპირებსო. ეს „სიახლე“ ანჩელოტიმ ამერიკაში უკვე გამოცადა — ამერიკულ „ჩიკაგო ფაიარსთან“ (3:1) და ლონდონურ „ჩელსისთან“ (1:1) „მილანმა“ ახლებურად ითამაშა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რას უპირებს ანჩელოტი საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს? განსაკუთრებულს არაფერსო, ასეთია კახას პასუხი. მას გუშინ მილანელს საწვრთნელ ბაზაზე შევეხმიანეთ...

ანჩელოტიმ ქართული სუტიანზე დაინახა

— წლებია, „მილანს“ ჩამოყალიბებული, უცვლელი ტაქტიკა ჰქონდა — 4-4-2. ჩანს, ვითარება იცვლება და სამკაცრიან დაცვაში შენი ადგილი ვეკულება?
— მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და მწვრთნელი რასაც დამავალდებს, ის უნდა ვაკეთო.
— ანუ?
— ვფიქრობ, ანჩელოტი უფრო ნახარბიყვანად მათამაშებს, „ჩიკაგოსთან“ და „ჩელსისთან“ მათგან უნდა საყრდენი ვიყავი.
— როგორ ფიქრობ, ასე მოულოდნელად სათამაშო ტაქტიკის შეცვლა რამ გამოიწვია?
— მწვრთნელს თავისებური ხედვა აქვს და ალბათ ასე უფრო თვლის საჭიროდ, მაგრამ ერთ-

— ვაა, 3-5-2 ჩვენთვის უცხო ნამდვილად არაა. შარშანდელ სეზონში რამდენიმე მატჩი სწორედ ამ ტაქტიკით ვითამაშეთ.
— კარლო ანჩელოტი უურნალობს მუდამ გაქვებს, კახამ სწორი ნაბიჯი გადადგა, კონტრაქტი რომ გაავრძელა, კალაძე ახალგაზრდა, უნივერსალური მოთამაშე და „მილანის“ მომავალია...
— მასთან პრობლემები არასდროს მქონია. კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებისას ანჩელოტი ხშირად მაქვებდა და მაგულიანებდა. ასე რომ, მთავარი ახლა ჩემი საკითხებია, მინდორზე უნდა დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები.
— ახალწვეულებზე რას იტყვი, გაამართლეს მოლოდინი?



პაოლო მალდინი, ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე „მილანის“ სეზონისწინა პრეზენტაციაზე

— ფაქტია, რომ მათმა მოსვლამ აშკარად გავაძლიერა და ვფიქრობ, „მილანს“ კარგადაც მოერგებიან. ერთიკაა, „მილანი“ ფეხბურთელის შერჩევაში იშვიათად ცდება ხოლმე.
— კრისტიან ვიერის „ინტერიდან“ „მილანში“ გადასვლას, ადვილი წარმოსადგენია, როგორი გამოხმაურება ექნებოდა...
— რა თქმა უნდა, ეს იგივეა „მილანის“ ტიფოზებისთვის, შევჩენკო რომ „ინტერში“ გადავიდეს. „ბობომ“ პირველი დარტყმა კაცურად გადაიტანა. ვიერი „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან ნახუბარი იყო და გააკეთა ის, რაც თავად სურდა. თანაც მას, მგონი, ჩვენთან უფრო მეტი მეგობარი ჰყავს, ვიდრე „ინტერში“.

— შევჩენკოსა და ანჩელოტის შორის რა მოხდა? საკმაოდ უსიამოვნო, ხმაბლადი შელაპარაკება მოსვლიათ...
— სისულელეა. ეგ ყველაფერი აქაური უურნალობების მოგონილია. ამით ოლონდ საჭიროა მიეცი და არაფერს დაგდევენ. „შევას“ მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. ერთმანეთში გულახდილად ისაუბრეს და გასარკვევად გაარკვეეს.
— საქართველოს ნაკრების კაპიტანი ხარ და რომ არ გკითხო, არ იქნება: 17 აგვისტოს ეროვნულ გუნდს ყაზახეთთან მატჩი ელის და გუნდს მწვრთნელი ჯერ არ ჰყავს...
— რა უნდა ვთქვა ახალი? ძალ-

— იან არასასიამოვნო ვითარებაა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი არ გვაქვს, ყაზახეთთან მაინც მნიშვნელოვანი მატჩი გველის.
— შენი აზრი ალენ ჟირესის გაშვებაზე...
— რა უნდა ვთქვა, ახალი რომ მოგყავს, ესე იგი, უკეთესი ვინდა, ხომ? ნაკრები ამ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავწერთნას ქართველმა მწვრთნელმა. საჭიროა უცხოელი სპეციალისტი, რომელიც გუნდს ელემენტარულად დაცვაში თამაშს ასწავლის. ნაკრებში სერიოზული, საქმის მცოდნე, პროფესიონალი და მიზანდასახული კაცი უნდა მოვიდეს.
ბიორგი მუხამბე

უსიამოვნო ვნებებში სიისა ბაბო 17 აგვისტოვადე დარჩა 13 დღე

17 აგვისტო ახლოვდება. ამ დღეს საქართველოს ნაკრები ყაზახეთისას უნდა შეხვდეს.
ერთი წლის წინ 2005 წლის 17 აგვისტო სხვანაირად წარმოგვედგინა — ზოგს იმედი ჰქონდა, რომ ამ დროისთვის ჩვენი ნაკრები ცხრილის ზედა ნაწილში იქნებოდა და ყაზახეთიდან უეჭველი სამი ქულის წამოღებით მდგომარეობას განიმტკიცებდა. ზოგიერთები, პესიმისტები, თვლიდნენ, რომ საქართველოს ნაკრები ამ დროისთვის უმოტივაციოდ იქნებოდა დარჩენილი და ყაზახეთიდან უეჭველად წამოღებული სამი ქულა აღარაფერში წაადგებოდა. არ ვიცი, ვეცხე ვინმეს ყაზახეთიდან სამი ქულის წამოღება არც მისი უეჭველ საქმედ მიანდა.
მაგრამ მას მერე ბევრმა წყაღმა ჩაიარა. პროფესიონალი, ტრადიციულად, პესიმისტებს ვაუმართლათ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შეცვლას, ეკვი ვეაქვს, არავის პროფილი არ ითვალისწინებდა.
პრეზიდენტი კი შეიცვალა. ზოგადად, ნებისმიერ პოსტზე ახალი კაცის თუ ჯგუფის მოსვლას იმედოვნობს ხოლმე. ასე იყო პრეზიდენტის არჩევნებამდეც. მაგრამ არ-

ჩვენების მერე იმედინათა რიცხვი არცთუ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა.
სხვა რამაც აღმოჩნდა — ქართული ფეხბურთისთვის საკვანძო თარიღი, წესით და რიგით, 5 აგვისტო უნდა გახდეს. რატომ? 5 აგვისტოს, ანუ ხვალ, ნოდარ ახალკაცი შევიცარია-გერმანიის მოვლის მერე თბილისში ბრუნდება. ევროპაში სტუმრობის მიზეზი კი ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელის მოძიებაა — ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცი. 5 აგვისტოდან 17 აგვისტომდე კი ძალიან ცოტა დრო რჩება და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ნაკრებისთვის მწვრთნელის დანიშნავს აღარ დაახანებს.
მაგრამ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული ლოგიკა ხშირად ალოგიკურია ხოლმე. აი, რას გვეულისხმობთ: ფედერაციის პრეზიდენტმა ამას წინათ თქვა, ნაკრების შემადგენლობის დასახელებისთვის მწვრთნელი აუცილებელი არ არისო და, ალენ ჟირესს თუ ვერაფერს, სიტყვა საქმიანად გაუმყარებია — ფრანგი ამტკიცებს, პრეზიდენტი ნაკრებში გამოსაძახებლათ სიას მარჩებდაო. ამის გათვალისწინებით კი მწვრთნელის დანიშნვა არც

ისე საჩქარო საქმედ უნდა მივიჩნიოთ და შეგვიძლია, 13-14-15-16 აგვისტოს დავენიშოთ. გამოსაძახებელი ფეხბურთელები უკვე გამოძახებულნი იქნებიან, მწვრთნელი კი თამაშადე ერთი-ორჯერ წავაგვირგოთ, ერთ „უსტანოვკასაც“ ჩაუტარებს და ეგაა...
ცხადია, პრობლემა მხოლოდ ერთი, ყაზახეთთან სატურნირო თვალსაზრისით უმოტივაციო მატჩისთვის მომზადება არ არის. მთავარი მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მზადდება. ნოდარ ახალკაციც ამას ამბობს — ახლა ვისაც დავენიშნავთ, მომდევნო ციკლში ის გაწვრთნის ნაკრებსო. ანუ ყაზახეთთან მატჩისთვის დროებით მწვრთნელს კი არა, ასე ვთქვათ, „მუდმივს“ ვნიშნავთ.
კი ვნიშნავთ, მაგრამ როგორ მწვრთნელს ვნიშნავთ?
თუკი ახალკაცი უორდანიას მიერ დანიშნულ ჟირესს „თავისი“ ფეხბურთელების გამოძახებას სთავაზობდა, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ახალკაცის დანიშნულ მწვრთნელს ახალკაცი „თავისი“ ფეხბურთელების გამოძახებას მით უფრო მოსთხოვს.
აქ ერთი განმარტების ჩამატება გვევლინება საჭირო: თუ პრეზიდენტი მწვრთნელს მიხნად

პრინციპულად ახალი, გაახალგაზრდადებული ნაკრების შექმნას, ამ ახალწვეულთა სამომავლოდ აღზრდას ავალდებს და კონტრაქტსაც ამ პირობით უფორმებს, გასაკვირა არაფერია, რადგან კონცეფცია სწორედ პრეზიდენტის შესამუშავებელია, მისი განხორციელება კი მწვრთნელის საქმეა.
მაგრამ ჩვენ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: პრეზიდენტი განსაზღვრავს კონცეფციასაც და შემადგენლობასაც, რაც არასწორად და მწვრთნელის ფუნქციებში უხეშ წარევადა მიგვანია.
ახლა ვიკითხოთ: რომელი ძლიერი და პრინციპული მწვრთნელი დათანხმდება ვინმეში მუშაობას, თუ შემადგენლობის თავისი გემოვნებით არჩევის საშუალება არ მიეცემა?
დრამა გვეყავს, რომ არც ერთი. ანუ, თუ პრეზიდენტის მოსაზრება ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებასთან დაკავშირებით ბოლო ერთ-ორ კვირაში არ შეცვლილა, საქართველოს ნაკრები უპრინციპო და სუსტ მწვრთნელს მიიღებს, რომელსაც, ვაი რომ, მომდევნო შესარჩევი ციკლში წარმატება არ უნდა მოეთხოვოთ.
ლუბა თალაგვაძე



მალხაზ ასათიანს რუსებისგან ქება არ აკლია

ივლისის პრაემიერი იუბილარი ქართველი

მალხაზ ასათიანი რომ ბოლო დროს „ლოკომოტივის“ სოლისტობს, ბევრ მცველს არ დაესიზმრება. რუსი ჟურნალისტები ჩვენიანით აღფრთოვანებას ვერ მალავენ და, აი, აღიარებაც: ასათიანი პრემიერლიგის ივლისის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გამოკითხვით და თავისებურად დაიმშვენა დაბადების დღე — დღეს მალხაზს 24 წელი შეუსრულდა.

ასათიანმა პრიზის გადაცემისას ჩვეულად დაიმორცხვა, ცუდად არ მითამაშია, მაგრამ „ლოკომოტივის“ დამსახურებასაც ნუ დაივიწყებთ, პირველ ადგილზე რომ არ ვიყოთ, საუკეთესოება გამიჭირდებოდაო. რუსმა ჟურნალისტმა კი მალხაზს ქათინაურიც უთხრა, თქვენ ბრიტანეთის დედოფალივით ხართ, რადგან არასოდეს გაკრიტიკებენ, სულ ისმის, ასათიანი ან კარგად, ან ძალიან კარგად თამაშობსო...

მალხაზ ასათიანი: რუსეთში თავისუფლად ვითამაშებ

„რას ამბობთ, რა ბრიტანეთის დედოფალი?! გაზეთი რომც არ წაკითხო, ისედაც ვიცი, როდის ვითამაშე კარგად და როდის ცუდად. ამას მეც ვერ მივხვდებ, მწერთნელი რისთვისაა... აი, მაგალითად, „რაბოტნიკისთან“ სტუმრად ვერ ვივარგეთ და გაზეთებისგან გული-სწყრომაც დავიმსახურეთ, მაგრამ ეს სულაც არ მწყენია. თუმცა ცუდესკისთან სულ სხვანაირად ვიყავით, მაყურებლები უნდა გაგვეხარებინა, ზეიმი უნდა მოგვეწყო მათთვის და ეს გავაკეთეთ“.

არმიელებთან მოგების შემდეგ „ლოკომოტივის“ ლამის უკვე ჩემპიონად თვლიან, თუმცა მალხაზი ჭკუადაძვარდა კაცია, ათი ტური სათამაშო გვაქვს და იმავე ცეცხლს, „სპარტაკს“, „ზენიტს“, „რუბინსა“ და „მოსკვას“ ჩემპიონობის შანსი კიდევ აქვთო.

„მე ლამაზი ფეხბურთი მიყვარს და რადგან „ლოკომოტივის“ თამაშებზე გულშემატკივრები მრავლად მოდიან, ესე იგი, ლამაზად ვთამაშობთ. ისე, როდესაც მატჩზე გადიხარ, პირველ რიგში შედეგზე ფიქრობ — ეს ჩვენი სამუშაოა, მაგ-

რამ მოთამაშე მინდორზე მოსაწყენი საყურებელი არ უნდა იყოს...“

...მიყვარს ქლმაგის თვალთ ფეხბურთის ყურება, მაგრამ სტადიონზე იშვიათად დავდივარ. ჩავრთავ ტელევიზორს და ვუყურებ ესპანეთის, ინგლისის, უფრო მეტად კი იტალიის ჩემპიონატის თამაშებს. განსაკუთრებით მომწონს „მილანი“, სადაც კახა კალაძე თამაშობს, ესპანეთში „რეალი“ და „ბარსელონა“, ინგლისში კი „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ მხოლოდ, თუმცა მათი თავგადაკლული ფანი არ ვარ. უბრალოდ, სიამოვნებას ვიღებ“ — ამბობს მალხაზი.

რუსები ასათიანს „Человек-рыбок“-ს უწოდებენ და აინტერესებთ, სად ისწავლა სისწრაფეში მეტოქეების მიჯრით მოტყუება, რაზეც ივლისის ლაურეატი პასუხობს:

„მე თვითნაბადი მცველი არ ვარ, ამიტომაც სულ წინ მიმიწევს გული და მგონი, ამით არაფერს ვაშავებ. როგორც იცით, საქართველოს ნაკრებში გამთამაშებლად ვთამაშობ. პოზიციების შეცვლა მიჭირს? თუ არაფერი მტკივა, მაშინ არა, ხოლო თუ ჯანზე ვერ ვარ,

ნახევარდაცვაში გამიძნელებდა, რადგან იქ უფრო ბევრი სამუშაოა“.

მალხაზის კიდევ ერთი თავმდაბლობა: „ლოკომოტივის“ ლიდერები ოჩინიკოვი, ლოსკოვი, ევსევი და პაშინინი არიან, მათ ნათქვამს ყველა ყურს უგდებს, მე კი ჯერ მაინც ახალგაზრდა ვარ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხანდახან შემოძლია მითითებების მიცემა“.

სამშობლო და ქართული სუფრა? აბა, ამ კითხვის გარეშე როგორ იქნებოდა. ასათიანი ამბობს, ჩემ გემოზე მხოლოდ საქართველოში შემოძლია დავისვენო, ოჯახთან და მეგობრებთან ერთადო: „წაიდე მდინარეზე, მწვადი შევწვა... ძალიან მომეწონება ასეთები“.

ასათიანს ქართულ სუფრაზე თამაშობა ვერც წარმოუდგენია, მზარულება დილით რომ იწყება, მეორე დღის საღამოს მთავრდება და სამაგისო ძალა არ მაქვს, რეჟიმი დამრღვევაო. ეს საქართველოში, თორემ მალხაზი რუს ჟურნალისტს ეუბნება, რუსეთში თამაშობას თავისუფლად შევძლებ, რატომ მკითხეთ, დაპატივებას ხომ არ მიპირებთ?..“

ილია ნანობაშვილი

დეემ-99-გოლ ნუ დაიპარება საქართველოს!

პიორგი დემეტრაძის ალანიური დებიუტი ჯერაც არ ჩამოდის რუსული გაზეთების ფურცლებიდან. ვლადიკავკაზელთა ქართველმა თავდამსხმელმა პირველივე მატჩში მოსალოდნელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გულშემატკივრებზე. ამ თემას ჩვენ ერთხელაც მივუბრუნდებით და დემეტრაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ...

— ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გავრცელდა და ჯობს, თავიდანვე ვთქვა: მეორე გოლი მე არ გამიტანია! ბურთი კარში ტორპედოვით სერგეი ბუდილინის თავიდან შევარდა.

— კი მაგრამ, ოქმში გოლი შენ ჩავიწერეს..

— ეს უკვე კარგია. ზედმეტი გოლი არანაირად არ მაწყენს.

— ნუთუ ბომბარდობაზე ფიქრობ? რუსეთის ჩემპიონატი ხომ სადაცაა, დამთავრდება...

— რა ვიცი... მგონი, ამ ჩემპიონატში ბომბარდობას 15 გოლი ეყოფა. ვნახოთ...

— როდის დაინტერესდა „ალანია“ შენით?

— დაახლოებით ორი თვის წინ. კლუბებს შეთანხმება არ გასჭირვებიათ და მეც ვლადიკავკაზში დავბრუნდი.

— კი მაგრამ, შორიდან ისე ჩანდა, თითქოს დონეცკის „მეტალურგს“ შენი გაშვება არ უნდოდა...

— ეს ალბათ ჩვეულებრივი საფეხბურთო გარიგება იყო.

— თან უკრაინის ჩემპიონატის პირველივე ტურში ორი გოლი გაიტანე და ძნელი წარმოსადგენი იყო „მეტალურგი“ თუ შეგეულოდა...

— სიმართლე ვთქვათ: „მეტალურგის“ ხელმძღვანელობაზე ბევრიც არაფერი იყო დამოკიდებული. ჩემი ტრანსფერი, ისევე როგორც მენდოსას, ტურეს და ცეტიშვილის, კლუბის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ დმიტრი ზელიუკს ეკუთვნოდა. „ალანიას“ ვარდა კი ბერძნული „ოლიმპიკოსი“ მეპატიებოდა, მაგრამ

ამ წინადადებამ მაინცდამაინც ვერ დამაინტერესა.

— „ტორპედოსთან“ მატჩს 27 500 მაყურებელი დაესწრო, რაც საამსეზონო რეკორდია. გრძობ, რომ ეს ხალხი სტადიონზე შენ სანახავად მოვიდა?

— მოედანზე გავედი თუ არა, ტრიბუნები მაშინვე ახმაურდნენ. ბიჭებმა კი კარს უკან გამახედეს, სადაც დიდი პლაკატი იყო წარწერით: „დეემ-99-გოლ“. ეს ძალიან მესიამოვნა. პირველი გოლიც ქომაგებს მიუძღვნენ.

— „ალანიაში“ ორნახევარი წლის წინაც თამაშობდი და მაშინდელ და ახლანდელ გუნდებს შორის დიდი განსხვავებაა?

— 2002 წელს „ალანია“ უფრო ძლიერი იყო.

— რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდობა უფრო საპატიოა თუ უკრაინის?

— დამსახურებებს ნუ მიკარგავ: საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირიც ვყოფილვარ. ისე კი, უკრაინულთან შედარებით რუსული უფრო პრესტიჟული მგონია.


— „ალანიასთან“ 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმე და ეს ბევრი ხომ არ არის?

— კლუბის ხელმძღვანელობამ ასეთი ვარიანტი შემომთავაზა და მეც დავთანხმდი.

— საქართველოს ნაკრებიდან აღენ ყირესის დათხოვნაზე რას იტყვი?

— კარგს ვერაფერს. სამწუხაროა, რომ ყირესი ვათავისუფლებს, მასთან ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა...





გადრი კაბინაში ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის პირველივე ტურში სკანდალი აგორდა. ქუთაისელ არბიტრ პაატა დოგრაშვილს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება, იგი „ბათუმ“ — „ბორჯომის“ მატჩს მსაჯობდა და, როგორც ნამატჩრევეს ქართულელთა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ თქვა, ორჯერ უხეშად შემცდარა მასპინძელთა სასარგებლოდ. ბორჯომელები მსაჯს რევაზ ჯიქიას ნაქცევისთვის არდანიშნულ პენალტს და „ბათუმის“ მიერ გატანილ გოლს ედავებოდნენ...

დოგრაშვილი გაოსებულია რა ხელი, რა პენალტი, რა დისკვალიფიკაცია?

მატჩის ინსპექტორმა სერგო კვარაცხელიამ დოგრაშვილის მსაჯობა 6,1 ბალით შეაფასა, რაც აბსოლუტურად უმაღლესს ნიშნად არ ითვლება, მაგრამ თავად მსაჯი ამბობს, ჩემთვისაა ძალიან დაბალი...

„პატაკში რა წერია და რატომ მომცეს დაბალი შეფასება, ვერ გეტყვი. დისკვალიფიკაციაზეც არაფერი ვამიგია, ასე უცებ, ალბათ, ვერ გადაწყვიტა ეს ამბავი. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილოჩენკო არ დამკავშირებია. ეტყობა, თავად შეაფასებენ მომხდარს და გადაწყვეტილებას მიიღებენ“ — გვითხრა პაატა დოგრაშვილმა.

რაც შეეხება თამაშის საეჭვო მომენტებს, ქუთაისელი მსაჯი მსგავსს ვერაფერს იხსენებს: „ჯიქიამ „ბათუმის“ საჯარიმოში წა-

ქცევა გააფორმა, 5-6 მეტრში ვიდეო და კარგად დაინახე“.

დოგრაშვილი იმასაც ამბობს, ფირი ენახე და კარგად თუ დააკვირდება კაცი, ნათლად ჩანს, რომ მასპინძლებმა გოლი წესების სრული დაცვით გაიტანესო.

„სოსო ფრუიძემ თქვა, ხელით გაგვიტანესო? ეგ არ მიკვირს, მწვრთნელია და საჯარიმო მოედანზე რა მოხდა, კარგად ვერ დაინახავდა. მაგრამ არავითარი ხელით თამაში არ ყოფილა! მაგაზე ლაპარაკი არც ღირს. გოლამდე საჯარიმოც სწორად დაენიშნე — ბათუმელმა ფეხბურთელმა ბურთზე დაასწრო მეტოქეს, რომელმაც წესი დაარღვია“.

მოკლედ, ჩემპიონატთან ერთად „სიმართლის დასადგენი“ ბრალდება-გარჩევებიც დაიწყო...

ილია ნანობაშვილი


პროფლიგის პროექტი: დაპაბრუნოთ სუპერთასი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სუპერთასის აღდგენას აპირებს. პროფლიგამ უკვე შეარჩია საამისო თარიღი — 14 სექტემბერი.

განხორციელდება თუ არა პროფლიგის ეს პროექტი, ჯერ ძნელი სათქმელია. სუპერთასის გასამართად ფულია საჭირო და შესაძლოა ფინანსები პროფლიგის საონსორებმა გაიღონ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, 14 სექტემბერს სუპერთასისთვის ჩემპიონი „დინამო“ და თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ იბრძოლებენ.

აქამდე ქართული სუპერთასი სულ სამჯერ გამართულა: 1996 და 1997 წლებში ის „დინამომ“ მოიგო, ხოლო 1998 წელს „ბათუმმა“.

ნიკა ჯორჯაძე



სარბიელის არქივიდან

სუპერთასი ბოლოს „ბათუმმა“ და მისმა კაპიტანმა მალხაზ მახარაძემ ჩაიბარეს

მანჩესტერ უნილ-ფლანკერი ლიგერულმა და ჯერარდმა თავდაჯერება უეპიინეს



ნუკრი მანჩესტერის ფანტასტიკური ჯობრილ სისეს წინააღმდეგ

„ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ისე დააბიჯებს, როგორც გულგური ლილიუტებში. მოსლოდნელი იყო და, ინგლისელებმა ლიტვურ „კაუნასს“ ბალტიისპირული 3:1-ის შემდეგ „ენფილდზე“ მოუგეს (2:0). რით იყო ეს მატჩები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო? იმით, რომ „კაუნასში“ ორი ქართველი, გივი კვარაცხელია და ნუკრი მანჩესტერის თამაშობს.

23 წლის მანჩესტერის სულ ერთი თვეა, რაც თბილისის „ლოკომოტივიდან“ კაუნასში წავიდა, უცებ დაჰკვირდა ძირითად შემადგენლობაში და გუშინწინ „ლივერპულს“ კინაღამ საოცნებო გოლი გაუტანა... ნუკრისთან საუბარიც ენფილდური შთაბეჭდილებებით დაიწყო...

— „ენფილდზე“ ფეხის შედგმა და ზღაპარში მოხვედრა ერთია. ამ გრძნობას სიტყვით ვერ გადმოვიცემ. გადაჭედვით სტადიონი, საოცარი გულშემატკივრობა, იგებ თუ აგებ, გამხნეებენ და ტაშს გიკრავენ.

— „ლივერპულთან“ „კაუნასის“ დონის ბევრი გუნდი თამაშამდე წააგებდა. შიშის გრძნობა არ გქონია?

— არანაირი შიში, „ენფილდზე“ ისეთი ატმოსფეროა, წარმოუდგენელია, ბოლომდე არ შეხედიე თამაშში. რომც ნერვიულობდე, თამაშის რიტმი წაგიღებს.

— ორი საგოლე მომენტი გქონია და იქნებ აღწერო...

— საჯარიმოდან დავარტყი და ხარიხას ოდნავ გადაურა ბურთმა — ეს 0:0-ზე. თამაშის ბოლოს კი სემი ჰიბიამ კარიდან გამოიტანა ჩემი დარტყმული, დამატებაზე კი ავაცილე. ეს მომენტები არ დამავიწყდება, ნაღდად შემეძლო გატანა.

— კაუნასში „ლივერპულს“ უგებდით კიდევ „ენფილდზე“ კი ბოლო წუთებზე გაუშვით გოლები. თამაშითაც გაუძალიანდით თუ უბრალოდ, გადარჩით?

— არა, ორივემ კარგად ვითამაშეთ. ის გოლი რომ შემეგლო, ლივერპულშიც წავიყვანდით ანგარიშს... ისე კი, თავს ზემოთ ძალა არაა — ვიცოდით, რომ გასვლის შანსი არ გვექნებოდა, მაგრამ ბოლომდე ვიომეთ და კმაყოფილები დავრჩით. ეს ორი მატჩი წარმოუდგენლად დიდი სკოლა იყო, თავდაჯერებული გავხდი.

— რომელმა ლივერპულელმა მოახდინა შენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? — სტივენ ჯერარდმა. ეგ კაცი ფეხბურ-

თისთვისაა დაბადებული, ყველაფერი შეუძლია. „ენფილდზე“ შეცვლაზე შემოვიდა და სტადიონი ლამის დაინგრა. ორ წუთში კი გოლიც გაგვიტანა. ჯობრილ სისეს და ხაბი ალონსოც ფანტასტიკურები არიან.

— „კაუნასშიც“ მარცხენა მცველად თამაშობ?

— კი, თუმცა ამ მატჩში მწვრთნელმა მარცხენა ნახევარმცველად ამწია, შეტევაში ჩართვა გეხერხებოდა.

— სტანდარტულად სულ შენ ასრულებ?

— უმეტესად. თუ ჩემი კუთხეა, მით უმეტეს.

— გივი კვარაცხელიამ როგორ ითამაშა „ლივერპულთან“?

— ყოველ შემთხვევაში, დღეს ლიტვური გაზეთები წერენ, „კაუნასში“ ქართველები იყვნენ საუკეთესოები.

— ერთი კვირის წინ მწვრთნელი შეგიცვალეს. როგორც ეტყობა, ახალი თავკაცი ალექსანდრე პისკარიოვიც კარგი თვალით გიყურებს...

— კი, არანაირი პრობლემა არ მაქვს.

— ბოლო წლებში „კაუნასი“ ლიტვაში უკონკურენტო იყო, წლეულს კი „ეკრანასმა“ ძალიან გაგასწროთ და ალბათ ჩემპიონობაზე ადარც ფიქრობთ...

— მეორე ადგილზე ვართ, ორი თამაშით ნაკლები გვაქვს და 18 ქულას ვაგებთ. „ეკრანასს“ კიდევ ორჯერ ვხვდებით, მაგრამ რომც მოვიგოთ, 6 ქულა რას გვიშველის... თან ძალიან რთული კალენდარი დავგეგმავ. ქაზო, კლუბის ხელმძღვანელობას იმედი ჯერ არ გადაუწურავს.

— ლიტვის ჩემპიონატი საქართველოსას ვგობა?

— შესაძლებელია ინფრასტრუქტურა და ფინანსური მხარე გაცილებით მოწესრიგებულია, მინდვრებიც უკეთესი აქვთ. კაუნასში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი განსხვავება.

— მას მერე, რაც ლეგიონერი გახდი, საქართველოს ნაკრებში თამაშზეც ხომ არ ფიქრობ?

— ეგ ჩემი ოცნებაა. თანაც, გეცოდინებათ, „კაუნასი“ ცნობილი ვლადიმირ რიშანოვის კლუბია, რომელიც შოტლანდიური „პართისის“ მფლობელიცაა და მან მითხრა, იქ გადაყვანას ვიპირებ, მაგრამ ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი უნდა მოაგროვოს. სამაგისო ჯერ არაფერი იმის და ენახოთ...

ილია ნანობაშვილი



ესტუდიანტები ასი წლის სტუდენტები

არგენტინული ლა-პლატა ერთი შეხედვით ძალიან ადრე-გენტილური ქალაქია. როცა XIX საუკუნის მიწურულს ბუენოს-აირესი ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოაცხადეს, გენერალ-გუბერნატორმა დარდო როჩამ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ახალი, კოხტა და სამხრეთ ამერიკისთვის უჩვეულოდ მოწესრიგებული CUN-DAD-ის გაშენება ბრძანა, რომელიც ბუენოს-აირესის შტატის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო. სენიორ როჩა ევროპულად მოაზროვნე კაცი გახლდათ და „თავისი“ ლა-პლატას მოწყობაც გერმანულ ან ჰოლანდიურ ფაიდაზე სცადა. აქ არგენტინის ისტორიაში პირველად მოხდა შენობათა წინასწარი დაგეგმარება, ხოლო ცოტა მოგვიანებით ქუჩების ელექტროგანათებაც მოაწყვეს, რაც ასევე სრული საახლე იყო. ოღონდ უკვე კონტინენტის (!) მასშტაბით... თუ როდისმე ამ ქალაქის თვითმფრინავით დათვალთ ბუნებრივად მოგვეცემათ, ნახათ, რომ მაღლიდან ლა-პლატა კარგად დახაზულ ჭადრაკის დაფას წაგავს — ტყუპისკალივით ერთნაირი სიდიდის სახალებო მოედნებს ერთიმეორესთან ზუსტად თანაბარი მანძილი აშორებთ. ევროპულად მოაზროვნე ბატონი როჩას აზრით, შადრევანებიან მოედნებზე კვირაობით ზომიერად მშვიდ და ლამაზ მოქალაქეებს უნდა ევისინათ, რომელთა რიცხვი დღის მანძილზე უკვე 541 ათას აჭარბებს. ქალაქის მშენება ასმეტრიანი ტაძარც კიონის ცნობილი კათედრალის ზუსტი ასლია. ერთი სიტყვით, ბობოქარი ბუენოს-აირესიდან, 56 კილომეტრით სამხრეთით ნამდვილი ევროპა შეგხვდებათ. ოღონდ იქაური ფეხბურთი კი...

1905 წლის 4 აგვისტოს საღამოს, მეშვიდე ქუჩაზე, სახარაზოში სახელად „ნიუ იორკი“ ლა-პლატას კოხტად დაგარცხნილი ცხოვრებით გულგაბეზრებულ ახალგაზრდათა ჯგუფი შეიკრიბა და დიდის ამბით დააარსეს საფეხბურთო კლუბი „კლუბ ატლეტისტა ესტუდიანტისი“. ESTUDIANTES ლათინურ ენებზე სტუდენტებს ნიშნავს და, ცხადია, „ნიუ იორკში“ თავმოყრილი უღვაშა ბიჭების ასაკიც მემბოხური იქნებოდა. მაშინ მარადონასა და ალფრედო დი სტეფანოს სამშობლოში უკვე არსებობდა ახალგაზრდობის საფეხბურთო კლუბები — „ლომას ატლეტისტი“, „კილმეს ატლეტისტი“, „ბელგარანი“, „ლომოსი“, „სან-ისიდრო“, „პორტენიო“, „რეფორმერი“, „პარაკასი“, „სან მარტინი“, „ნასიონალი“ და „არხენტინოს დე კილმესი“. ქვეყნის ჩემპიონატს კი ერთობლივად ლიდერობდა მრისხანე „ალუმინი“, ინგლისურენოვანი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამაგრებულთა ნაკრები, რომლის წევრებსაც მოედანზე და მის გარეთაც სამხრეთელისა არაფერი ეცხობო. თუმც ისევე ჩვენს სტუდენტებს დაკუბურდნენ. უღვაშა ბიჭებმა სახარაზოში ითობირეს, იყავანეს და თავიანთი გუნდის ფორმაც დაადგინეს — თეთრ-ალისფერ-ხალებიანი მაისურა და შავი ტრუსები (სხ-



ვათა შორის, „ესტუდიანტისი“ იმ იშვიათ გრანდთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ძირითადი ეკიპირების შეფერილობა დაარსების დღიდან დღემდე იგივეა დარჩენილია. დივი ლა-პლატას მემბოხე პირში პირველი 6 წელი სადაც მოყვარულთა მეორე ლიგაში ყურყუმელაობდა, ხოლო 1911-ში LIGA MAYOR-ში გადაინაცვლა. ორი სეზონის მერე სტუდენტები მოყვარულთა შორის ჩემპიონები გახდნენ და 1931 წელს პროფესიულ კლუბადაც ჩამოყალიბდნენ. საერთოდ, „ესტუდიანტისი“ 60-ანებამდე ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტდა (1944 და 48 წლებში ოდენ მესამე ადგილი დაიკავა), თუმც საფეხბურთო არგენტინა გამარჯვებისადმი სწრაფვით გააგიჟა — მოედანზე მატჩის უკანასკნელ წამამდე იბრძოდნენ.

დიდების ეპოქა 1967-ის 6 აგვისტოს დაიწყო. თეთრ-ალისფერებმა ცნობილი პატაგონიელი მეტრის, დონ ოსვალდო სუბელდას ხელმძღვანელობით, „არასინგი“ დაამარცხეს და პროფესიულ კარიერაში პირველად გახდნენ არგენტინის ჩემპიონები. მაშინდელ ოქროსმედლოსანთა სახელების ჩამოთვლა ბევრს არაფერს მოგვეცემს. გეტყვით მხოლოდ, რომ იმ პირველობაზე ახალგაზრდა კარლოს ბილარდომ გაიბრწყინა.

„მოვიგეთ, რადგან გამარჯვება სხვებზე მეტად გვეკუთვნოდა — ჩვენ უძლიერესი გუნდი გვყავს“ — განაცხადა მაშინ მწვრთნელმა სუბელდამ და მომავალ წელს საქმით დაამტკიცა თავისი ნათქვამი. 1968-ში ოსვალდოს შეგირდებმა ლობერტადორესის თასის ფინალში ბრაზილიური „პალმეირასი“ დასცეს და ამერიკის ჩემპიონობაც ჩაიბარეს.

„პალმეირასი“ 16 მაისს, დამატებით მესამე მატჩში დავამარცხეთ და შეხვედრის ერთ-ერთი გოლიც მე გავიტანე. 16 მაისი ჩემი პატარა გოგონას დაბადების დღე გახლავთ და საჩუქრად თოჯინას და ლობერტადორესის თასს ერთად შევიპირდი“ — იხსენებს ესტუდიანტისელი ფელიპე რეზაულო. შეპირდა და აასრულა კიდევ...

რიცხვი 16 კი სტუდენტებისთვის უკიდურესად იღბლიანი გამოდგა.

იმავე წელს საკონტინენტაშორისო თასზე პატაგონიურმა გუნდმა ორარუნდიან ომში ლეგენდარულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო და კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ტიტულიც მოიპოვა. ვთავაზობთ ნაწყვეტს „ესტუდიანტისზე“ დაწერილი წიგნიდან: „პირველი შეხვედრა 25 სექტემბერს „ბოკა ხუნიორსის“ სტადიონზე ჩვენი გამარჯვებით 1:0 დასრულდა. იმ დროს „მანჩესტერ იუნაიტედში“ მითიური ბიჭები, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონები თამაშობდნენ, და, ცხადია, „ოლდ ტრეფორდზე“ განმეორებით შეხვედრას მთელი ლა-პლატა შიშის კანკალით მოველოდით. ინგლისური საფრთხე ნაწილობრივ გამართლდა, მანჩესტერში მოწინააღმდეგის საშინელი იერიშები ვნა-

ხეთ, თუმცა ხუან ვერონის (დღევანდელი „ინტერის“ არგენტინელი ვარსკვლავის მამა) გოლს „იუნაიტედის“ ფეხბურთელებმა მხოლოდ მორგანის გატანილი ბურთით უპასუხეს. 1:1 და „ოლდ ტრეფორდზე“ შეკრებილმა ათათასობით გრინგომ დამარცხების სიმწრით იტირა, ხოლო ლა-პლატაში ნამდვილი სიხარულის მიწისძვრა დაიწყო. ხალხი ქუჩებში გამოეფინა და საში დღის განმავლობაში გიჟური ფიესტა მოაწყვეს...“ ისე, საინტერესოა, რას იტყოდა დარდო როჩა, ფეხბურთით გადარეული თანაქალაქელები და ნამდვილ არგენტინულად აწეწილი ლა-პლატა რომ ენახა?


— რა თქმა უნდა, დონ ოსვალდო სუბელდა და მისი „სტუდენტები“ (ალბერტო პოლუტი, უგო



კარლოს ბილარდო

მედინა, ნესტორ ტონიერი, ფელიპე რიბაულო, ელუარდო ფლორესა, ელუარდო მანერა, კარლოს ბილარდო, ხუან ვერონი და სხვა) მიღწეულზე არ გაჩერდებოდნენ. „ესტუდიანტისმა“ 2 წელიწადში (1969-70) ორჯერ ლიბერტადორესის და ერთხელ ინტერამპერიკის თასი მოიპოვა. მართალია, საკონტინენტაშორისო თასზე ასევე პერიოდში ევროპულ ვიგანტებთან „მალანი“ და „ფიენორა“ დამარცხდნენ. მაგრამ ოდესღაც მემკვიდრე ქუჩაზე მდებარე სახარაზოში დაბადებულმა გუნდმა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში მისცა მოიპოვა თავისი გამორჩეული ადგილი. სახელგანთქმული კარლოს ბილარდო კი ცალკე სალაპარაკო თემაა. 1986 წლის მსოფლიოს პირველობაზე არგენტინისთვის ოქროს, ხოლო 90-ის მუნდიალზე კერძო მფლობელის მომბოლო კლუბში როგორც ლმეროს ისე ეთაყვანებანს. სწორედ ამ კაცთანაა დაკავშირებული „ესტუდიანტისის“ ბილი ორი და ჯერჯერობით უკანასკნელი დიდი გამარჯვება — 1982 და 83 წლების არგენტინის ჩემპიონობა შემდეგ, თეთრ-ალისფერთა ინჩასობის სამწუხაროდ, 80-90-იანებში მათმა საყვარელმა კლუბმა კორანარი ვილდო ვედარ მოიგო და 2003-ის აპრილში, სენტენარიოდან ანუ 100 წლისთავამდე 2 წლით ადრე „ესტუდიანტისის“ თავკაცობამ მწვრთნელად ისევ ბილარდო მოიყვანა. „რაც შემიძლია, ვვლავფერს გავაკეთებ გუნდის გადასარჩენად“ — განაცხადა მაშინ „კლნარგონმა“ და სეკუნდადვიზიონში ჩასავარდნად განწირული სტუდენტებს უმაღლეს ლიგაში შეუნარჩუნა ადგილი. ბილარდომ მწვრთნელის პოსტი მალევე დათმო, თუმცა ინჩასებს აღუთქვა, რომ თავის გულს „ესტუდიანტისთან“ ტოვებს. „დრო მოვა და „ესტუდიანტისს“ კვლავაც მსოფლიოში პირველ გუნდად ვიხილავთ. ჩვენს გარეშე მუხის ფოთოლია გაძისახული. ეს ხე კი თასს წელიწადს ცოცხლობს. შეუძლებელია, რომ ისევე ჩემპიონები არ გავხდეთ“ — აღნიშნა 203-ში კარლოს ბილარდომ. მართლაცდა შეუძლებელია...

ლადო ხომერიკი



ლა პლატის კათედრალური ტაძარი კიონის ტაძრის ანალოგია

ბორმობრავია



ცენტრალური აფრიკის იმპერიამ საქართველოს ბრძოლა გამოუცხადა



გორდონ პერბერტი საქმეს შეუღდა

ერთად დახვდა. ნაკრები მთებში, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარე კურორტ ბორმიოში, სასტუმრო „კრისტალი“ დაიხვდა.

ბორმიო ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სათხილამურო კურორტია. ზამთარში იქ მსოფლიოს ცნობილი მოთხილამურეები იკრიბებიან, ზაფხულში კი სათამაშო სახეობების წარმომადგენლები.

ბორმიოში უზარმაზარი სპორტული კომპლექსია, რომელშიც ათამდე დარბაზი მდებარეობს და საკალათბურთო გუნდებსაც იქ მრავალად ნახავთ. ივლისში ბორმიოში შეკრება გაიარეს ევროპის წამყვანმა გუნდებმა — მილანურმა „არმანი ჯინსმა“, „ვარეზემ“, მოსკოვის „დინამომ“, პერმის „ურალ გრეიტმა“, ბერძნულმა „ოლიმპიკოსმა“ და „პანათინაიკოსმა“, თურქულმა „ეფესმა“ და „ულქერმა“.

ერთი სიტყვით, ბორმიო ზაფხულში ევროპის გრანდების საკალათბურთო საჯანაა. დღეს ბორმიოში ხუთი ეროვნული ნაკრები იმყოფება. ქართველებთან ერთად იქ არიან იტალიელები, თურქები, ბულგარელები და... ცენტრალური აფრიკის იმპერიის ნაკრები, რომელსაც ჩვენთან თამაშის სურვილი გამოუთქვამს და ქართველებიც დაჰყაბულებიან. მატჩი 7 აგვისტოსაა დანიშნული.

ბორმიოელებმა გორდონის ამქარს ერთი ავტობუსი გამოუყვეს გადასადგილებლად და 26 ბურთი სავარჯიშოდ. უზარმაზარი სამედიცინო ცენტრი თავის უფასო მომსახურებით ქართველების განკარგულებაშია.

საკვარჯიშოდ კი გორდონის გუნდს „ვალდოსოტოს“ დარბაზი გამოუყვეს, თუმცა 2 აგვისტოს ჩვენებმა „პენტაგონოს“ ფიცარნაგზე იბურთავეს, რაკი ოთხთა ტურნირი სწორედ იქ ტარდება და ხუთჯვაროსნებმა სარბიელს გემო გაუსინჯეს.

ქართველთა პირველი ვარჯიში კი ჩასვლის დღეს, 1 აგვისტოს გაიმართა და რაკი ნამგზავრები იყვნენ, გორდონმა ბიჭები მსუბუქად დატ-

ვითა. 2 აგვისტოდან კი ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდნენ და თან ნორმატივების ჩაბარებაც მოუხდათ, რათა პერბერტს გაეგო, თუ ვინ რა ჯანზეა. თითოეულის ფიზიკური მზადყოფნა რომ გამოარკვია, პერბერტმა ყველას ინდივიდუალური სავარჯიშო გრაფიკი შეუდგინა.

ნაკრებში თარჯიმნის შტატი გაუქმებულია, რაკი პერბერტის მშობლიურ და ზოგადად საერთაშორისო ინგლისურს მთელი გუნდი ნორმალურ დონეზე ფლობს.

ქართველთა ნაკრებით საკმაოდ დაინტერესებულნი არიან იტალიელი ჟურნალისტები, მაგრამ მათ სპორტსმენებთან გასაუბრების უფლება არა აქვთ. უფრო სწორად, ქართველ კალათბურთელებს აკრძალაოთ მედიასთან კონტაქტი, თორემ ჟურნალისტებს, ვინ რა უნდა აუკრძალოს.

სანამ 11 აგვისტოს ოთხთა ტურნირი დაიწყებოდა, 6-ში ქართველები იტალიას ამხანაგურად გაეჯიბებინ. ამ მატჩის დასრულების შემდეგ 45 წუთი გორდონ პერბერტის მობილური ტელეფონი ჟურნალისტებისთვის (ცხადია, ქართველებისთვის) ჩართული იქნება და აქაურ კალმოსნებს ეროვნული ნაკრების თავკაცთან გასაუბრების უფლება მიეცემა.

ბორმიოს ტურნირში საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან შემოდ უილიამსი და ნბა-ელი ლეგიონერები. ცეკტიშვილს, მოგესხენებათ, თითი აქვს მოტეხილი და 20 აგვისტომდე მოედანზე ვერ გავა, ხოლო ვლადიმერ სტეფანია კვლავ ნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს. ზაზა ფაჩულია კი ჯანზეა, მაგრამ ამერიკაში იმყოფება და დღე-ღღეზე კონტრაქტსაც გააფორმებს.


პერბერტის განკარგულებაში ეს კალათბურთელები არიან: ირაკლი ბერიშვილი, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, დავით საყვარელიძე, ანატოლი ბოისა, გიორგი მარკოიშვილი, დავით იმნაძე, ვლადიმერ ბოისა, დავით უგრეხელიძე, გიორგი მდივანი, შიო ხეცურიანი, ირაკლი კვიციანი.

ირაკლი პერბერტი

ზაზა ფაჩულიას ტრანსფერთან დაკავშირებით ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამას წინათ ვწერდით. „იუტაჯუჯი“ ფინიქს სანზიო, „სიეტლი“ — ვარაუდობდა ქართველი კალათბურთელები, თუმცა ზაზამ გუშინწინ „ატლანტა ჰოქსთან“ გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება.

პურზაური ზაზას ბარუემო ატლანტამ თქვა, მილუოკი ფიქრობს

სანამ ფაქტებზე გადავალთ, დავაზუსტოთ, თუ რა არის წინასწარი ხელშეკრულება. ნბა-ში არსებობენ ორი სახის აგენტები — თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი. პირველი კატეგორიის კალათბურთელებს ნებისმიერ კლუბთან შეუძლიათ კონტრაქტის გაფორმება და თუ ამას გააკეთებენ, ტრანსფერიც იმ მომენტში გაიჩარება. ნახევრადთავისუფალ აგენტებსაც ნებისმიერ გუნდთან შეუძლიათ კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ერთი კვირა უნდა ვაკვიდეს, რომ ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდეს. ამ ერთი კვირის განმავლობაში მოთამაშის ძველ გუნდს შეუძლია, უფრო ძვირადღირებული კონტრაქტი შესთავაზოს თავის ყოფილ მოთამაშეს და თავისთან დაიტოვოს...



ლიწადში გულისხმობს და რეალურად კონტრაქტის დირექტორება 16 მილიონიაო, მეორე კი ოფიციალურ ინფორმაციას იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ზაზას წელიწადში 1 მილიონს სთავაზობენ.

ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ზაზას სამომავლო გუნდის განსაზღვრის საქმეში. უკვე გადაწყვეტილია, რომ ფაჩულია „ატლანტაში“, ანაც „მილუოკში“ ითამაშებს.

მილუოკურ „სენტინელს“ კეთხულობთ, რომ ფაჩულია ორივე გუნდისთვის სასურველი მოთამაშეა. რაც „ატლანტამ“ „ჩიკაგოდან“ ედი კარი ვერ გადაიბირა, ცენტრის პოზიციის გამაგრებას ეშურება და ჯეისონ კოლიეს ფარქვემ ფაჩულია უნდა მიაწყვლოს. ამერიკელი ჟურნალისტების ვარაუდით, თუ ზაზა „მილუოკში“ დარჩა, „4 ნომრად“, თავდასხმულად ითამაშებს — ასე რომ, სათამაშო დროის ნაკლებობისა არ უნდა ეშინოდეს.

ერთი სიტყვით, ჯერი „მილუოკზე“ და თუ ეს გუნდი ფაჩულიას უკეთეს კონტრაქტს არ შესთავაზებს, ქართველი ცენტრის მომდევნო გუნდი „ატლანტა“ გახდება.

ირაკლი პერბერტი

კადეტები კარს მიაღებენ ნაღდი ბრძოლა ახლა იწყება

დღეს საქართველოს კადეტთა ნაკრები ბრძოლას იწყებს ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ახალ ჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან ესტონეთი, ბოსნია და სლოვაკეთი.

შეგახსენებთ, რომ გელა წულაძის გუნდმა საწყის ჯგუფში მასპინძელ ბულგარეთსაც მოუგო, უნგრეთსაც და შედეგისა, თუმცა ახლა გაცილებით სერიოზულ მეტოქეებთან მოუწევს ბრძოლა.

ჩვენი დელეგაცია ვიფორიაში არ ჩავარდნილა ამ სამი მოგების შემდეგ. პირიქით, ახლა უფრო მობილიზებულნი ვართ, რადგან ვიცით, რომ გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ წინაა — ვითხრა გუშინ კადეტთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა გაა კაზანჯიანმა — დღეს ერთხელ ვივარჯიშეთ მსუბუქად, რადგან ძალების აღდგენა გვესაჭიროება. ტრავმირებულნი არ გვყავს და ყველა საბრძოლო განწყობაზეა. ახალ მეტოქეებს მეტ-

ნაკლებად ვიცნობთ, ესტონეთთან სულაც ერთი თვის წინ გვითამაშა და დაგვიმარცხებია კიდევ. ბოსნიასა და სლოვაკეთის თამაშები კი აქ ვანახეთ და ვცდილობთ, შესაბამისი ტექნიკა შევიძულოთ მათ წინააღმდეგ.

პირველი ეტაპის შემდეგ 8 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, რომლებიც ორად გაიყო. პირველი ჯგუფი: გერმანია, პორტუგალია, ბულგარეთი, ინგლისი. მეორე ჯგუფი: საქართველო, ბოსნია, ესტონეთი, სლოვაკეთი.

ქართველთა კალენდარი ასეთია — ჩვენებურები დღეს ესტონეთს ეთამაშებიან, ხვალ ბოსნიას, ზგ კი სლოვაკეთს.

თითო ჯგუფიდან ორი საუკეთესო გავა და ნახევარფინალური წყვილებიც შედგება. ნახევარფინალების მომგები გუნდები A დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ.

ირაკლი პერბერტი

რაილუკი რეალობა პატ-გენერალმა 13 კაცი 5 გუნდში დაატრიალა

ნბა-მ ალვირი მიუშვა, გუშინინიდან გუნდებს მოთამაშეთა გაცვლა-გაფორმების ნება დართო და ამათაც ისეთი ვაჭრობა გააჩაღეს, თქვენი და ყველას მოწონებული.

პატ რაილი „მაიამის“ მთელი ამ სეზონის პერიოდის განმავლობაში ამხადებდა დიდი გაცვლისთვის, მაგრამ ამხელა ჩარხს თუ დაატრიალებდა, შორიდან მაყურებელთაგან არავის ეგონა. რაილიმ ნბა-ს კიდევ ოთხი გუნდი ჩაითრია ამ ორომტრიალში და შედეგად 13-მა კალათბურთელმა შეიცვალა კლუბი. ნბა-ს არ ახსოვს ასეთი ჯგუფური და მასშტაბური გაცვლა — 13 მოთამაშე ახალი რეკორდია და თუ შეიძლება ასეც ითქვას, ერთი მოთამაშით „ალმატემა“ ძველ რეკორდს, რომელიც 2000 წელს დამყარდა. მაშინ ოთხმა გუნდმა ერთმანეთში 12 კალათბურთელი დაატრიალა და მათ შორის მოხვდა ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიაც. მაშინ ვოვამ „სიეტლიდან“ „ნიუ იორკში“ ამოყო თავი.

ამ 13 მოთამაშედას ვეღვა ვარსკვლავი არაა და ვინ სად აღმოჩნდა, ამას ქვემოთ ცხრილიდან შეიტყობთ. ჩვენ კი დავძინოთ, რომ ამ ამდგრეულ წყალში დიდრონი თევზები სწორედაც რომ პატ რაილიმ და მისმა „მაიამიმ“ დაიჭირეს, „ბოსტონს“ კი ვეება ღლაკი გაუსხლტა ხელიდან.


გაცვლაში მონაწილეთაგან ყველაზე ცნობილი გახლავთ 206-სანტიმეტრიანი და სამეზის ნაოლს-

ტარალი ფორვარდი ანტუან უოლკერი, რომელიც „მაიამის“ თითქმის მუქთად ჩაუვარდა. უოლკერის ყოფილმა გუნდმა „ბოსტონმა“ კი ერთ-ერთი ლიდერის და ყოველმატჩში თითქმის 20 ქულის და 9-10 მოხსნის ფასი მოთამაშის ნაცვლად სამი ისეთი კაცი მიიღო, მათი სახელების ხსენებაც სირცხვილია.

კმაყოფილია გენერალი რაილიც — „ანტუანი ჩვენი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა მათგან, ვისაც თანაბრად კარგად შეუძლია ფარკეშაც და პერიმეტრზე თამაშ, მოხსნაც და პასის კეთება. ჩვენ ბევრი დავთმეთ, მაგრამ ბევრიც შევიძინეთ ამ გაცვლით.“

რაც შეეხება დათმობას, რაილი ბევრსაც არ შელევია. მან „მემფისში“ გაუშვა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ედი ჯონსი და სამაგიეროდ ორი რიგიანი ჯეკილი — თეთრი გამთამაშებელი ჯეისონ უილიამსი და დაცვაში თამაშით ცნობილი ჯეიმს პოუზი მიიღო.

კარგად ივარჯის „მემფისმაც“, რომლის გენ-მენეჯერმა ჯერი ვესტმა კვლავაკვლავ ზუსტად გათვალა ყველაფერი და ჯონსის სახით გუნდს ახალი პოტენციური ლიდერი უშოვა. „მემფისს“ დიდად არც „მაიამიში“ გაშვებული უილიამსი



ანტუან უოლკერი

და პოუზი დააკვლებიან, რაკილა ასეთი საშუალო მოთამაშეები კიდევ ბევრი ჰყავს, თან ყველა პოზიციაზე. აი, გამოკვეთილი ლიდერი კი „დათვებს“ შარიფ აბდურ-რაჰიმის შემდეგ აღარ ჰყოლიათ და ჯონსს სწორედ ასეთად მოიაზრებენ. მართალია, ყოჩაღი ბიჭია ესპანელი თავდამსხმელი პაუ-სოლი, მაგრამ ის დამაგვირგვინებელი უფროა, ვიდრე ორგანიზატორი, „დათვებს“ კი სწორედ დირიჟორი სჭირდება.

გარდა ამისა „მემფისმა“ კიდევ ერთ, დამოუკიდებელ გაცვლაშიც იმონაწილევა და იქაც სარფი ნახა — უსარგებლო ვარსკვლავი ბონზი ველსი „საკრამენტოში“ გაუშვა და იქიდან ბობი ჯექსონი და გრეგ ოსტერტაგი ირგუნა, მერე კი ეს უკანასკნელი ამ 13-კაციან ვაჭრობაში ჩაუშვა და „იუტადან“ მისი სანაცვლოდ სათადარიგო გამთამაშებელი რაულ ლოპესი წამოიყვანა. ოსტერტაგი ძველი იუტელია, ნბა-ში 10-წლიანი კარიერის პირველი 9 წელი სწორედ იქ უთამაშია და ბოლო სეზონი „საკრამენტოს“ სათადარიგოთა სკამზე ბუზებს ითვლიდა. „იუტაშიც“ კმაყოფილები არიან, ეს ძველი მეფარე ერთწლიანი განშორების შემდეგ რომ დაიბრუნეს.

„მაიამის“, „ბოსტონის“, „მემფისის“ და „იუტას“ გარდა ამ გაცვლაში მეხუთე გუნდად მონაწილეობდა „ნიუ ორლეანიც“, თუმცა „კრახანებს“ ისეთი არავინ დაუკარგავთ და შეუძენათ, ხსენებად რომ ღირდეს.

და ისევ „მაიამის“ თაობაზე: პატ რაილიმ გუნდს შეუნარჩუნა გოლიათი შაკილ ონილი და მასთან ერთად საჩემპიონო ამბიცია. გადაწყდა, რომ 33 წლის შაკი კიდევ ხუთი წელი დარჩება სამხრეთ ფლორიდაში და თითო სეზონში 20-20 მილიონს ანუ ჯამში ზუსტად 100 მილიონ დოლარს მიიღებს.

კობე ყოფნია

რვენი ჰორი რვენიან რეპიონმა რეპიონი ღაბიტოვა

ასამი კაცს თავის გუნდში ნებისმიერი მწკრთნელი ინატრებდა. რობერტ ჰორი თამაშში იქნებ უსაშველოდ ბევრ ქულას ვერ იხვეჭდეს მაგრამ თუ ჩააგდებს, ისეთ მნიშვნელოვან ბურთს, რომ ამის გუნდს იქნებ ჩემპიონობადაც უღირდეს.

„სან ანტონიო სფურზის“ ხელმძღვანელობასაც დიდხანს არ უფიქრია, 34 წლის ვეტერან სნაიპერს კონტრაქტი გაუხანგრძლივა და გუნდში დატოვა. ექვსი საჩემპიონო ბეჭდის მქონე ჰორიც ოვის მეშვიდე ტიტულს ძველ გუნდთან ერთად შეუტევს.

მის გარდა „სან ანტონიომ“ აიყვანა არგენტინელი მეფარე ფაბრი-

სიო ობერტი, რომელიც, ეს ბოლო წლებია, ევროლიგაში ვარსკვლავობდა და არგენტინის ნაკრებშიც მონაწილეობდა. 2004 წლის აიუნის ოღა-მჰადაზე ის სწორედ ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. რომელმაც ნახევარფინალში ატენაკის ნაკრები დამარცხა და უყვინდოდ დატოვა „სფურზის“ თავიანთ გრეგ პოპოვიჩსაც მაშინ მოხვდა ოფლანო 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი და 30 წლის ობერტი ნბა-ს ჩემპიონი „სან ანტონიომ“ მეთრე არგენტინელი იქნება. თქვენც კარგად აცნობი „სფურზში“ სამი წელია, სასწაულებს ჩადის კალათბურთის მთაღონა მანუ ჯინობილი.

კობე ყოფნია




რობერტ ჰორი „სან ანტონიოში“ ღარჩა

ჯო-ჯო ჯორჯიაში ქორაბაა ფენიქსი ღაბიჭირას

კვინტინ რიჩარდსონის დაკარგვის შემდეგ „ფინიქს სანს“ სუპერხუთეულის კიდევ ერთი წევრი გამოაკვდა. 201-სანტიმეტრიანმა მსროლელმა ჯო ჯონსონმა აღარ ისურვა „ფინიქსში“ შესამე-მეთხე კაცად ყოფნა და ჯორჯიას მაშურა, სადაც „ატლანტა ჰოქსში“ ულაპარაკო ლიდერად ჩაეწერა და ხელფასიც გარიანი დასტყუა ამ გუნდის შევებს. წინა სეზონში უსუსურად გამოსულ „ქორებს“ ხეირანი არავინ ჰყავდათ, ასე რომ, ჯონსონს 5-წლიანი და 69-მილიონიანი კონტრაქტი აუჭრულებს თვალები და ესეც უმაღლეს დანახვად გუნდის გამოცვლას.

სად „ფინიქსი“ და სად ეს უდღერი „ატლანტაო“, იტყვიოთ და ცოტა როდია ამ აზრზე. „ფინიქსი“ ამ ზაფხულს მართლა ვარსკვლავებს ეთამაშებოდა და ჰლეი ოფში და-

საულთ კონფერენციის ფინალშიც მივიდა, ხოლო „ატლანტაში“ ამ რეგულარულ ჩემპიონატში იდგენას წავება მოასწრო, თავმოყვარე გუნდს სამი-ოთხი სეზონი ეყოფიდა. მცდეამ ჯონსონის გამტყუნებას არავინ ცდილობს, თუნდაც სახელფასო საკითხში უზარმაზარი სხვაობის გამო და გარდა ამისა, მას ისედაც კარგა ხნის წინ დაეკადნა, „ფინიქსში“ გამჩერებელი არ ვართ. ერთ-ერთი თამაშში, კერძოდ კი „მაიამისთან“ შეხვედრაში ჯონსონს შეღაპარაგება მოუხდა თანაგუნდელ და „ფინიქსის“ მთავარ ბომბარდირ აბრე სტუ-დემაიერთან. სტუდემაიერმა მას სახალხოდ უღრიალა — რას ელილიავები, რამე მოუხერხე მაიამელღუენ ვეიდსო. მას შემდეგ ჯონსონი ახალი გუნდის ძიებამა და ხედავთ, იოლად იპოვა კიდევ.




შაკილ ონილი „მაიამიში“ 5 წლით და 100 მილიონად რჩება

ციხსელა გიჭეზი სათაგოჯრანში

დავინყოთ იმით, თუ რა უნდათ „ლეიკერსის“ და „საკრამენტო კინგ ზის“, მოკლედ, ნბა-ს ვარსკვლავებს, ვლადე დივაცსა და პრედრავ სტოიაკოვიჩს ტაივანში. რა და, აქ მსოფლიო თამაშთა

2005 წლის კარნავალი მიმდინარეობს. რაც შეეხება თვითმფრინავს, რომლის კაბინაშიც ისინი სხედან და ვითომ მართვას სწავლობენ, „ჩაინა აირლაინზისა“.




AFP კაბინიდან

ქარლსონი

საქართველოში მისი
პროფესიული კვალია.
მისი ტურნეს ის არის, რომ, ფოტოს
აპტორთა ცნობით, მასზე გამოსახულია,
მისი უსწრებს პოლიციელი
მისი შედეგული შედეგ
მისი პოლიციის ამის
მისი უსწრებს



AFP კაბინიდან



AFP კაბინიდან

მისაელის დიედი

FIA-ს პრეზიდენტი მაქს მოსლი ფორმულა ერთში
უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით 24 პილოტს, მათ
შორის, ცხადია, მისაელ შუმპერსაც შეხვდა და ეთათბირა.
დიედი გერმანელი თათბირის შემდეგ კანის აეროპორტში
მივიდა და, აი, ასე გაემართა ჩასახსლომი სექტორისკენ.

სარბიელი
საორტული გაჯეთი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამომცემი ორგანიზაცია,
საგადაცემო, ორგანიზაცია,
საგადაცემო, ორგანიზაცია,
საგადაცემო, ორგანიზაცია

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ პირაველი
პასუხისმგებელი რედაქტორი ანტონი ბურჯანაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, დიანა ნინოშვილი, კახა შვალამიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო აბულაძე
გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხიმშიაშვილი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შივაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ბერიძე, ლევან კლავაძე
თარგმანი: ვლადიმერ ბერიძე
ფოტორეპორტორები: ვუკამ დოლიძე, ვლადიმერ ბერიძე, მადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გაბრიელაძე, დავით გიგინეიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: დიანა ბერიძე, ნათელა ბერიძე, ნათელა ბერიძე,
ელენე კლავაძე, ნათელა ბერიძე, ნათელა ბერიძე, ნათელა ბერიძე,
მეგა დოლიძე, ნათელა ბერიძე, ნათელა ბერიძე, ნათელა ბერიძე,
თამარ ქიქელიძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შამაგაძის გამზირი 42, II
პირველი, IV სართული.
საზღვრო მისამართი:
თბილისი - 79, საზღვრო
მუშა 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვებგვერდი
<http://www.sarbieri.com.ge>